



ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

საქართველოს ღია მმართველობის პარტნიორობის 2018-
2019 წლის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში
გასათვალისწინებელი ვალდებულებები

1 მარტი, 2018

შესავალი

წარმოდგენილი ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს მიერ მომზადებულ ვალდებულებებს ღია მმართველობის პარტნიორობის 2018-19 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში გასათვალისწინებლად.

ვალდებულებების დამუშავების პროცესში, ფონდმა მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ საქართველო 2017 წლის სექტემბრიდან ღია მმართველობის პარტნიორობის თავმჯდომარე ქვეყანას წარმოადგენს. შესაბამისად, შემოთავაზებული ვალდებულებები, ერთი მხრივ, შეესაბამება ღია მმართველობის პარტნიორობის პრინციპებს, ხოლო მეორე მხრივ, პასუხობს ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევებს. ამასთან, აღვნიშნავთ, რომ შემოთავაზებული ვალდებულებები შეესაბამება ღია მმართველობის პარტნიორობის სტრატეგიული განახლების დოკუმენტსა და თანხვედრაშია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან.

წინამდებარე ვალდებულებათა შემუშავებისას, ფონდი თანამშრომლობდა სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. ჩვენი მიზანი იყო, ღია მმართველობის პარტნიორობის საქმიანობაში ჩაგვეერთო ისეთი გაერთიანებები, რომლებიც არ წარმოადგენენ ფორუმის წევრ ორგანიზაციებს და შესაბამისად, ამ დრომდე არ ჰქონიათ შესაძლებლობა, გამოეყენებინათ ეს პლატფორმა მათთვის მნიშვნელოვანი თემების ადვოკატირებისთვის.

გარდა დამოუკიდებელი ვალდებულებების დამუშავებისა, ფონდის საქმიანობის ერთერთ მიმართულებად რჩება ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქალაქო ფორუმის წევრი ორგანიზაციების მხარდაჭერა. შესაბამისად, ფონდი მიესალმება და უერთდება საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივას დამოუკიდებელი ანტიკორუფციული მექანიზმის შექმნასთან დაკავშირებით.

1) ასოცირების საბჭოს, კომიტეტებისა და ქვეკომიტეტების ოქმების საჯაროობა

პრობლემის აღწერა

ერთი მხრივ საქართველოსა და მეორეს მხრივ ევროკავშირს, ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების 404-ე მუხლის მიხედვით შექმნილია ასოცირების საბჭო, რომელიც ზედამხედველობასა და მონიტორინგს უწევს აღნიშნული შეთანხმების გამოყენებას. საბჭო იკრიბება მინისტრების დონეზე მინიმუმ წელიწადში ერთხელ და განიხილავს შეთანხმების ფარგლებში წარმოშობილ ნებისმიერ მნიშვნელოვან საკითხს. საბჭოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც სავალდებულოა მხარეებისთვის. ხელშეკრულების 406 (3 პუნქტის) მიხედვით საბჭო უფლებამოსილია განაახლოს ან შეასწოროს ხელშეკრულების დანართები შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) ნებისმიერ კონკრეტული დებულებისთვის ზიანის მიუყენებლად. 2014 წლიდან დღემდე ჩატარდა ორი ასოცირების საბჭოს სხდომა. საბჭოს სხდომის ოქმი არ გასაჯაროვებულა. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ცვლილებებს განიხილავს და წყვეტს საბჭო. გადაწყვეტილების მიღებამდე, ცვლილებები და მათი სათანადო მოტივაცია აისახება საბჭოს სხდომის ოქმებში. შესაბამისად, ოქმი წარმოადგენს, ერთი მხრივ, საბჭოს წევრთა პოზიციების შესახებ ინფორმაციის წყაროს, მეორე მხრივ, იძლევა საშუალებას გაიზომოს, ცვლილებების დასაბუთებულობა და მიზანშეწონილობა, რაც მნიშვნელოვანი ინფორმაციაა საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით კი ასოცირებაზე მომუშავე ორგანიზაციებისა და აქტორებისათვის.

ასოცირების შეთანხმების შესაბამისად 407-ე და 409-ე მუხლების მიხედვით შექმნილია ასოცირების კომიტეტი და ქვეკომიტეტები, რომლებმაც ხელშეკრულების პირობითად ძალაში შესვლიდან (2014 წლის 1 სექტემბერი) რამდენიმე შეხვედრა გამართა. აღნიშნულ ქვეკომიტეტებზე. ხელშეკრულების 409-ე მუხლის 4-ე პუნქტით „ქვეკომიტეტები უფლებამოსილნი არიან მიიღონ გადაწყვეტილებები წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ შემთხვევებში“. ამ დრომდე აღნიშნული ქვეკომიტეტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და შეხვედრის ოქმები არ არის გასაჯაროვებული. საკითხები, რომელიც მზადდება კომიტეტზე, საბჭოს განხილვისა და დამტკიცების პროცედურის გავლის შემდეგ, სავალდებულო ხდება. ამიტომაც, კომიტეტის სხდომის ოქმები იძლევა მნიშვნელოვან საადვოკაციო მასალას, საბჭოზე ამა თუ იმ საკითხის განხილვისა და დამტკიცების მიზანშეწონილებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული დოკუმენტების გასაჯაროვება მნიშვნელოვანია რადგან იქ მიღებული გადაწყვეტილებებით შეიძლება შეიცვალოს სხვადასხვა ვალდებულება და ამ ვალდებულებების შესრულების ვადები რა ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით არის გაწერილი.

ვალდებულების აღწერა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გაასაჯაროონ ის გადაწყვეტილებები და ოქმები (დამტკიცების შემდეგ), რომლებიც მიიღეს ასოცირების საბჭოს, ასოცირების კომიტეტისა და ასოცირების ქვეკომიტეტების სხდომებზე.

ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
მთავარი მიზანი	მიზანი არის საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. კონკრეტულად კი იმის ცოდნა რა გადაწყვეტილებები მიიღება საქართველო-ევროკავშირის დონეზე ასოცირების ხელშეკრულების შესრულებას და იქ გაწერილ ვადებთან დაკავშირებით.
ვალდებულების სამოქმედო გეგმაში გათვალისწინების მიზანშეწონილობა	ვალდებულების აღების შემთხვევაში გადაწყვეტილებები იქნება ხელმისაწვდომი სამოქალაქო საზოგადოებისთვის, რომელიც მონიტორინგის უწყევს ასოცირების ხელშეკრულების შესრულების პროცესს.
ვალდებულების შესრულების თანმიმდევრული ნაბიჯები	2018 წელს ასოცირების საბჭოზე (სავარაუდო ჩატარების თარიღი 2018 წლის დეკემბერი) გასაჯაროვდეს 2017 წლის საბჭოს ოქმი. 2018 წლის მეორე ნახევრიდან გასაჯაროვდეს 2014 წლიდან 2018 წლამდე მიღებული ასოცირების კომიტეტის და ასოცირების ქვეკომიტეტებზე მიღებული გადაწყვეტილებები.
ვალდებულების საბოლოო დასრულების სასურველი თარიღი (2018-2019 წლების განმავლობაში)	

2) შინაგან საქმეთა სამინისტროს გამჭვირვალობის გაზრდა

პრობლემის აღწერა

შინაგან საქმეთა სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს რგოლს წარმოადგენს, რომლის ძირითად ფუნქციებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვა განეკუთვნება. ამ მიზნების შესასრულებლად სამართალდამცავ უწყებებს კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ ფართო დისკრეტია, აქედან გამომდინარე, ბუნებრივად ჩნდება უფლებამოსილების არასათანადოდ გამოყენების რისკი. იმისათვის, რომ საზოგადოებაში არსებობდეს ნდობა სამართალდამცავი ორგანოებისადმი, შსს უნდა იყოს ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე, ეს უკანასკნელი კი მოითხოვს ღიაობას, ქმედებებზე ზედამხედველობის განსახორციელებლად. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო წლების განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე დახურული უწყება იყო, საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის მხრივ. ამ დრომდე გამოწვევად რჩება შესაბამისი სტატისტიკის წარმოება. შსს მიერ სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება არ ეფუძნება სისტემატიზირებული პროცედურების ერთობლიობას და იგი კანონქვემდებარე აქტითა და მემორანდუმით არის მოწესრიგებული, რაც ართულებს და ხშირ შემთხვევაში გამორიცხავს ინფორმაციის მიღებას. ბოლო წლების მონაცემებით იკვეთება, რომ შსს მემორანდუმით გათვალისწინებულ ვალდებულებას ხშირად არ ასრულებს, ხოლო ვინაიდან კონკრეტული სტატისტიკის წარმოება არ რეგულირდება კანონის დონეზე, გამოთხოვილ ინფორმაციაზე შსს დან მიღებული პასუხი, როგორც წესი უარყოფითია და ახლავს მითითება სტატისტიკის წარმოების ვალდებულების არ არსებობის შესახებ.

გამოწვევად რჩება ბუნდოვანი საკადრო პოლიტიკა ასევე, ბუნდოვანი, გაუმჭვირვალე და ხშირად ერთპიროვნული, პოლიციელის სამსახურში მიღების, ასევე მისი დაწინაურების, დისციპლინური პასუხისგებისა თუ გათავისუფლების საკითხები. აღნიშნული საკითხები ზოგადად პოლიციის შესახებ კანონშიც გვხვდება, მაგრამ შედარებით დეტალური პროცედურები და საგამონაკლისო შემთხვევები თავად შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ ბრძანებებშია გაწერილი. ამ კანონქვემდებარე აქტების დებულებები თავის მხრივ ბუნდოვანია და რიგ შემთხვევებში თავად მინისტრს, პოლიტიკურ თანამდებობის პირს, ანიჭებს უფლებამოსილებას საგამონაკლისო შემთხვევების არსებობისას ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება

ვალდებულების აღწერა

სტატისტიკის წარმოება სისტემატიზირებული ფორმით–აღნიშნული ითვალისწინებს შსს მიერ სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების პროცედურების, ვადებისა და პასუხისმგებელი ორგანოების ნათლად გაწერას, ერთიანი კონსოლიდირებული დოკუმენტით; იმ სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებას და საჯაროდ გავრცელებას, რომელშიც ასახული იქნება პოლიციის წინააღმდეგ წარდგენილი განცხადებების/საჩივრების შესახებ მონაცემები, პოლიციის მხრიდან უკანონო ქმედების დადასტურების საშუალო პროპორციული მაჩვენებელი და დაკისრებული სახდელების შესახებ ინფორმაცია;

შსს საკადრო საკითხების გამჭვირვალობის გაზრდა– საკადრო საკითხებთან მიმართებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში პოლიტიკური თანამდებობის პირის (მინისტრის) ჩართულობის ხარისხი მაქსიმალურად უნდა შემცირდეს, სამსახურში მიღების, დათხოვნისა და თანამდებობრივი გადაადგილების მარეგულირებელ ნორმათა სისტემატიზაცია კი ერთიან დოკუმენტში უნდა მოხდეს.

	მიზანშეწონილია, რომ ეს საკითხები კანონის დონეზე დარეგულირდეს. ვალდებულების არსია სამსახურში მიღების, თანამდებობრივი გადაადგილების, წახალისებისა და გათავისუფლების პროცედურების კანონის დონეზე ნათლად და კონკრეტულად მოწესრიგება, პოლიციელთა ინდივიდუალური შეფასების სისტემის დანერგვა; კოლეგიალური ორგანოს შექმნა, რომელიც საკადრო საკითხებზე გადაწყვეტილებებს მიიღებს, პროფესიული კრიტერიუმების გათვალისწინებით და რომლის დაკომპლექტება განხორციელდება პროფესიული ცოდნის მქონე პირებით, რაც შეამცირებს პროცესის პოლიტიზების რისკებს; გენერალური ინსპექციისთვის მეტი ოპერაციული და ინსტიტუციური დამოუკიდებლობის მინიჭება; დისციპლინური სამართალწარმოების ნათელი პროცედურების გაწერა და ამ პროცესში როგორც პოლიციელის, ისე დაზარალებული პირის დაცვის ინსტრუმენტებით აღჭურვა; გენერალური ინსპექციის მიერ პროაქტიულად ინფორმაციის გამოქვეყნება განხორციელებულ რეაგირებებზე.
ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყება	წამყვან უწყებად უნდა განისაზღვროს შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც აღნიშნული ვალდებულებების დიდ ნაწილს კანონქვემდებარე აქტებით არეგულირებს, იქ სადაც აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად პასუხისმგებელ უწყებად უნდა განისაზღვროს საქართველოს პარლამენტიც.
მთავარი მიზანი	შინაგან საქმეთა სამინისტროს გამჭვირვალობის ხარისხის გაზრდა და ამით საზოგადოებრივი ნდობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა.
ვალდებულების სამოქმედო გეგმაში გათვალისწინების მიზანშეწონილობა	დანაშაულის სტატისტიკას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს კრიმინოგენული ვითარების ცვლილების შეფასებისთვის, დანაშაულის მიმართ სახელმწიფოს საპასუხო ქმედებების მონიტორინგისთვის, პოლიტიკის შეფასებისა და სხვადასხვა კონტექსტში დანაშაულის მრავალფეროვანი გამოხატულების გაგებისთვის. შესაბამისად ერთიანი დოკუმენტის (კანონქვემდებარე აქტის) მიღებით შსს მოახდენს სტატისტიკის წარმოების ვადების და პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებას, რაც გაამარტივებს აღნიშნული ინფორმაციის მიღებას და ქმედითი საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებას. ამავდროულად, პოლიციელის მიერ ჩადენილი გადაცდომების შესახებ სტატისტიკის წარმოება, აჩვენებს, რომ შსს მზად არის პასუხისმგებლობა იტვირთოს წარუმატებლობასა და შეცდომებზე, რაც ნიშნავს რომ იგი ზრუნავს თავის ლეგიტიმურობაზე და ამით ზრდის საზოგადოებრივ ნდობას. პოლიციის საქმიანობის დემოკრატიული პრინციპების შესახებ ეუთოს სახელმძღვანელო დოკუმენტის თანახმად, პოლიციაში დანიშვნის, ფუნქციების განაწილების, დაწინაურებისა თუ პასუხისმგებლობის პოლიტიკა თავისუფალი უნდა იყოს დისკრიმინაციისგან და ეფუძნებოდეს გამჭვირვალე სტანდარტებს. დასაქმების, დაწინაურების თუ წახალისების დეტალური და გამჭვირვალე ნორმების შემუშავებით, გამოირიცხება პირადი სიმპატიითა თუ სხვა გავლენებით პირის დაწინაურების შანსი, რაც თავის მხრივ გაზრდის როგორც პოლიციელის მოტივაციას, ასევე დამოუკიდებლობის ხარისხს. დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში პოლიციელის ისევე როგორც დაზარალებულის სათანადო დაცვის ინსტრუმენტებით აღჭურვა, პროცესის მონაწილეებში გაზრდის სანდობას და გამჭვირვალობას.

ვალდებულების შესრულების თანმიმდევრული ნაბიჯები	1. შსს მიერ სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების პროცედურების, ვადებისა და პასუხისმგებელი ორგანოების ნათლად გაწერა, ერთიანი კონსოლიდირებული დოკუმენტის შექმნა; 2. საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება პოლიციის წინააღმდეგ წარდგენილი განაცხადების ოდენობის თაობაზე; 3. შსს გენერალური ინსპექციის მიერ სტატისტიკის წარმოება პოლიციის მხრიდან უკანონო ქმედების დადასტურებისა და დაკისრებული სახდელების შესახებ; 4. შსს მინისტრის ბრძანების ნაწილი რომელიც არეგულირებს პოლიციელის სამსახურში მიღების სპეციალური შემოწმების მიზნებსა და მეთოდებს, მოეხსნას გრიფი „საიდუმლო.“ 5. გასწორდეს შსს მინისტრის ბრძანება, რომელიც თანამდებობრივი გადაადგილების საკითხს ერთპიროვნულად ანიჭებს მინისტრს, ან მის უფლებამოსილ პირს, მსგავსი გადაწყვეტილება მიიღოს კოლევიალურმა ორგანომ, ნათლად გაწერილი კრიტერიუმებით; 6. შეიცვალოს პოლიციის შესახებ კანონის მუხლის რეგულირება, რომელიც პოლიციელის თანამდებობიდან გათავისუფლებისთვის არ ითვალისწინებს ნათელ პროცედურას; 7. დისციპლინირების პროცესში კანონმდებლობამ უზრუნველყოს გადაცდომის შესაძლო ჩამდენის ჩართულობა და მის მიერ თავისი უდანაშაულობის მტკიცების შესაძლებლობა; 8. კანონმდებლობით დარეგულირდეს გენერალური ინსპექციის მოკვლევის შედეგების განმცხადებლის მიერ გასაჩივრების შესაძლებლობა, ასევე ინსპექციის ვალდებულება დაზარალებულს აცნობოს მოკვლევის გარემოებები და არგუმენტები, რასაც მიღებული გადაწყვეტილება ეფუძვნება; 9. გაიზარდოს გენერალური ინსპექციის ოპერაციული და ინსტიტუციური დამოუკიდებლობა, შეიზღუდოს შსს მინისტრის ინსპექციის საქმიანობაში ჩარევის პროცედურა, აღნიშნული ორგანოს დკომპლექტებაში მონაწილეობა არ მიიღოს შსს მინისტრმა; თუ მინისტრი არ ეთანხმება ინსპექციის დასკვნას, სავალდებულო გახდეს საწინააღმდეგო გადაწყვეტილების დასაბუთება; 10. გენერალურ ინსპექციას დაევალოს პროაქტიულად გამოაქვეყნოს სტატისტიკური მონაცემები.
ვალდებულების საბოლოო დასრულების სასურველი თარიღი (2018-2019 წლების განმავლობაში)	1. შსს მიერ სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების პროცედურების, ვადებისა და პასუხისმგებელი ორგანოების ნათლად გაწერას, ერთიანი კონსოლიდირებული დოკუმენტის შექმნა- 2018 წლის დეკემბერი; 2. სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებას და საჯაროდ გავრცელებას, რომელშიც ასახული იქნება პოლიციის წინააღმდეგ წარდგენილი განაცხადებების/საჩივრების შესახებ მონაცემები, პოლიციის მხრიდან უკანონო ქმედების დადასტურების საშუალო პროპორციული მაჩვენებელი და დაკისრებული სახდელების შესახებ ინფორმაცია- 2019 წლის ოქტომბერი. 3. შსს-ში დასაქმების, თანამდებობრივი გადაადგილების, წახალისებისა და გათავისუფლების პროცედურების კანონის დონეზე ნათლად მოწესრიგება- 2019 წლის მაისი; 4. დისციპლინური სამართალწარმოების ნათელი პროცედურების გაწერა და ამ პროცესში როგორც პოლიციელის, ისე დაზარალებული პირის დაცვის ინსტრუმენტებით აღჭურვა- 2019 წლის სექტემბერი; 5. გენერალური ინსპექციის მიერ პროაქტიულად ინფორმაციის გამოქვეყნება განხორციელებულ რეაგირებებზე- 2019 წლის იანვარი.

3) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობის ხელშეწყობა

პრობლემის აღწერა	იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების ანალიზითა და საბჭოს საქმიანობაზე მონიტორინგით, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებთან მიმართებით, საბჭოს საქმიანობაში ვლინდება არაერთი ხარვეზი: • იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაზე არ ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. კანონით ასევე არ არის განსაზღვრული საბჭოს გადაწყვეტილებათა სასამართლოში გასაჩივრების ფარგლები, წესი და პროცედურა, რაც პრაქტიკულად კონტროლს მიღმა ტოვებს საბჭოს გადაწყვეტილებების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმებას. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის წესი მოწესრიგებულია საბჭოს რეგლამენტით, რომელიც ასევე არ განსაზღვრავს საბჭოს ინდივიდუალური თუ ნორმატიული შინაარსის გადაწყვეტილებების მიღების პროცედურას, გასაჩივრების წესს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს; • კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საბჭოს გადაწყვეტილებათა დასაბუთების ვალდებულებას. ამ პრობლემას ნათლად წარმოაჩენს მოსამართლეთა, სასამართლოს, პალატების და კოლეგიების თავმჯდომარეების, იუსტიციის უმაღლესი სკოლაში მსმენელთა მიღებასთან, მოსამართლეთა დაწინაურებასთან და გადაყვანასთან დაკავშირებით საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები; • დადგენილი ვადის დაცვით არ ქვეყნდება ინფორმაცია სხდომის თარიღის შესახებ და სხდომის დღის წესრიგი. ხელმისაწვდომი არ არის საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხების თაობაზე მომზადებული პროექტები/მასალები, როგორც სხდომაზე, ასევე სხდომის მიმდინარეობისას. საბჭოს სხდომის ვიდეო გადაღება მედიის წარმომადგენლების მიერ დაიშვება მხოლოდ სხდომის გახსნის ეტაპზე. პრობლემურია საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ვადები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოს გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომი არ არის კოდიფიცირებული, კონსოლიდირებული სახით; • დარეგულირებული არ არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის მიმდინარეობისას დამსწრე პირების მიერ მოსაზრებების გამოხატვის წესი; • მოწესრიგებული არ არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის დახურვის პროცედურები. მოსამართლეობის კანდიდატებთან და ასევე უკანასკნელ დანიშვნის სურვილის მქონე მოქმედ მოსამართლეებთან, საბჭოს რეგლამენტის თანახმად, გასაუბრებები ტარდება დახურულ რეჟიმში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თავად მოსამართლეობის კანდიდატი ან მოქმედი მოსამართლე თანხმობას აცხადებს დამსწრე პირების დასწრებაზე; • საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, უზრუნველყოფილი არ არის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა სასამართლო სისტემის 5 წლიანი სტრატეგიის იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფებში; • საბჭოს სხდომების მიმდინარეობის ამსახველი წერილობითი ოქმები არ ფორმდება. უკანასკნელ პერიოდში ხორციელდება მხოლოდ სხდომების აუდიო-ვიდეო ჩაწერა. პრაქტიკაში გამოვლინდა არაერთი ტექნიკური ხარვეზი, რა დროსაც სხდომების აუდიო-ვიდეო ჩანაწერი დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომი არ გახდა.
ვალდებულების აღწერა	1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ანგარიშვალდებულების გაზრდა - აღნიშნული ითვალისწინებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით საბჭოს გადაწყვეტილებების სამართლებრივი ფორმის განსაზღვრას, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

	კოდექსით საბჭოს გადაწყვეტილებების დასაბუთების და გასაჩივრების წესის დადგენას; 2.იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა - აღნიშნული მოიცავს კანონში ცვლილებების შეტანის გზით: საბჭოს სხდომების ღიაობის, მათ შორის მოსამართლეობის კანდიდატებთან და უვადოდ გადანიშვნის სურვილის მქონე მოსამართლეებთან გასაუბრების ღია ფორმატში ჩატარების უზრუნველყოფას, საბჭოს სხდომების უწყვეტი მედია გაშუქების წესების განსაზღვრას, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, კონსოლიდირებული სახით საბჭოს ვებ. გვერდზე და საკანონმდებლო მაცნეზე გამოქვეყნებას და გამოქვეყნებისათვის კონკრეტული ვადების დადგენას; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილებების განხორციელების გზით: სხდომაზე განსახილველი პროექტების/მასალების საჯაროობის უზრუნველყოფას, სხდომის აუდიო-ვიდეო ჩანაწერების მომზადების პარალელურად, წერილობითი ოქმების მომზადების ვალდებულების ნათლად განსაზღვრას, სხდომის მიმდინარეობისას დამსწრე პირების ჩართულობის წესის დადგენას. ასევე, აღნიშნული ვალდებულება მოიცავს საბჭოს 2017 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში №1/260 ცვლილებების შეტანის გზით სასამართლო სისტემის 5 წლიანი სტრატეგიის იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფას და საბჭოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებას, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება საბჭოს ვებ. გვერდის მეშვეობით, საბჭოს სხდომების პირდაპირი ეთერით გაშუქება(Livestream).
ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყება	წამყვან უწყებად უნდა განისაზღვროს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომელიც აღნიშნული ვალდებულებების დიდ ნაწილს თავისივე გადაწყვეტილებებით, მათ შორის რეგლამენტით არეგულირებს, იქ სადაც აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, პასუხისმგებელ უწყებად უნდა განისაზღვროს საქართველოს პარლამენტი და საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ჩართულობით.
მთავარი მიზანი	იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების გაზრდა, ამით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის პროცესში საზოგადოების ჩართულობისა და მონაწილეობის უზრუნველყოფა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის გაზრდას.
ვალდებულების სამოქმედო გეგმაში გათვალისწინების მიზანშეწონილობა	ევროპის მოსამართლეთა საკვალიფიკაციო საბჭოს დასკვნის თანახმად, სასამართლო სისტემის ადმინისტრირებაში მართლმსაჯულების საბჭოს მნიშვნელოვანი ჩართულობის პერსპექტივის გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ საბჭოს მიერ განხორციელებული მოქმედებების გამჭვირვალობა. გამჭვირვალება არის ძირითადი ფაქტორი იმ ნდობაში, რომელიც მოქალაქეებს აქვთ სასამართლო სისტემის ფუნქციონირებისადმი და წარმოადგენს გარანტიას პოლიტიკური გავლენის საფრთხის ან მართლმსაჯულების შიგნით პირადი ინტერესის გატარების, პირადი პროტექციისა და ქრონიზმის წინააღმდეგ. შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, მართლმსაჯულების საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილება, რომელიც დაკავშირებულია სასამართლო სისტემის მენეჯმენტთან და ადმინისტრირებასთან, ასევე მოსამართლეთა დანიშვნასთან, მობილობასთან, დაწინაურებასთან, დისციპლინასთან და გადაყენებასთან (თუ საბჭოს გააჩნია რომელიმე აღნიშნული უფლებამოსილება), უნდა შეიცავდეს მისი საფუძვლების განმარტებას, გააჩნდეს მზოქავი ძალა და იყოს სასამართლო გადახედვის შესაძლებლობის ქვემდებარე. იუსტიციის საბჭო უნდა საქმიანობდეს მოსამართლეებისა და საზოგადოების მიმართ

	მაღალი ხარისხის გამჭირვალობით, წინასწარ დადგენილი პროცედურების შემუშავებისა და დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების გზით. დღეს, საზოგადოებაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება სისტემატური კრიტიკის ობიექტს წარმოადგენს. მითითებული ვალდებულებების შესრულება გაზრდის საბჭოს ანგარიშვალდებულებას, გამჭირვალობას, საბჭოს საქმიანობაში საზოგადოების ჩართულობას, რაც თავის მხრივ ზეგავლენას მოახდენს საბჭოს მიმართ საზოგადოების ნდობის ხარისხის ზრდაზე.
ვალდებულების შესრულების თანმიმდევრული ნაბიჯები	1.ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების სამართლებრივი ფორმის განსაზღვრა; 2.საკანონმდებლო აქტით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობისა და გასაჩივრების წესის ნათლად გაწერა; 3.საკანონმდებლო აქტითა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით, მედიასაშუალებებისათვის საბჭოს ღია სხდომების სრულად გადაღების უფლებით უზრუნველყოფა; 4.იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ. გვერდის მეშვეობით საბჭოს სხდომების პირდაპირი ეთერით გაშუქება(Livestream); 5.კანონმდებლობით საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნების კონკრეტული ვადის განსაზღვრა; 6.საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კონსოლიდირებული სახით გამოქვეყნება და საკანონმდებლო მაცნეს ვებ. გვერდზე განთავსება; 7.საბჭოს რეგლამენტით, სხდომამდე და სხდომის მიმდინარეობისას დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების თაობაზე მომზადებული პროექტების/მასალების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; 8.საბჭოს რეგლამენტით, სხდომაზე დამსწრე პირების მიერ პოზიციების დაფიქსირების წესის დარეგულირება; 9.იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომების დახურვის წესის საკანონმდებლო აქტით განსაზღვრა; მოსამართლეობის კანდიდატებთან და უვადოდ დანიშნვის სურვილის მქონე მოქმედ მოსამართლეებთან გასაუბრების ღია სხდომაზე ჩატარება; 10.სასამართლო სისტემის 5 წლიანი სტრატეგიის იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა; 11.აუდიო-ვიდეო ჩანაწერების პარალელურად სხდომის მიმდინარეობის ამსახველი წერილობითი ოქმების მომზადება.
ვალდებულების საბოლოო დასრულების სასურველი თარიღი (2018-2019 წლების განმავლობაში)	1.იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების სამართლებრივი ფორმის განსაზღვრა, დასაბუთებულობისა და გასაჩივრების კონკრეტული წესის დადგენა - 2018 წლის დეკემბერი; 2.იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომების უწყვეტი მედია გაშუქების წესის დადგენა და ვებ. გვერდის მეშვეობით პირდაპირი ეთერით გაშუქება - 2019 წლის აპრილი;

	3.იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების კონსოლიდირებული სახით გამოქვეყნება და გამოქვეყნებისთვის კონკრეტული ვადების დადგენა - 2019 წლის თებერვალი; 4.სხდომაზე განსახილველი საკითხების თაობაზე მომზადებული პროექტების/მასალების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და დამსწრე საზოგადოების მიერ პოზიციების გამოხატვის წესის დადგენა - 2018 წლის დეკემბერი; 5.იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომების დახურვის წესის საკანონმდებლო აქტით განსაზღვრა; მოსამართლეობის კანდიდატებთან და უვადოდ დანიშვნის სურვილის მქონე მოქმედ მოსამართლეებთან გასაუბრების ღია სხდომაზე ჩატარება - 2018 წლის ნოემბერი; 6.სასამართლო სისტემის 5 წლიანი სტრატეგიის იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა - 2018 წლის სექტემბერი; 7.აუდიო-ვიდეო ჩანაწერების პარალელურად სხდომის მიმდინარეობის ამსახველი წერილობითი ოქმების მომზადება - 2018 წლის სექტემბერი.
--	---

პრობლემის აღწერა

დასაქმებულთა უფლებების დაცვის მწვავე საჭიროებას და მის მიმართ განსაკუთრებულად მაღალ საზოგადოებრივ ინტერესს კვლავაც განსაზღვრავს სამუშაო ადგილებზე დაშავებისა და დაღუპვის უცვლელად მძიმე სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც, 2011-2016 წლის ივნისის ჩათვლით საწარმოო შემთხვევების შედეგად დაშავდა 724 და დაიღუპა 252 ადამიანი. შრომითი უფლებების დარღვევის სიმწვავეს ცხადყოფს ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში შრომის ბაზისური პირობების მოთხოვნით მშრომელთა მიერ ორგანიზებული წინააღმდეგობები თუ დასაქმებულთა გაერთიანებების მიერ წარმოებული გაფიცვები დასაქმების სხვადასხვა სფეროში. შესაბამისად, შრომის პოლიტიკის რეფორმირება, მათ შორის, შრომითი უფლებების დაცვის მიზნით საკანონმდებლო ცვლილების საჭიროება და შრომის ადმინისტრირების სისტემის გამართვა წარმოადგენდა და დღემდე რჩება საზოგადოებრივი ჯგუფებისა და პროფესიული კავშირების მხრიდან დაყენებულ მთავარ საკითხად.

შრომის უსაფრთხოების უფლების სათანადოდ დაცვის გადაუდებლობაზე 2013 წლიდან მიუთითებს სახალხო დამცველი და აღნიშნავს, რომ საჭიროა იმგვარი ნორმატიული ჩარჩოს შექმნა, რომელიც სრულფასოვნად დაიცავს დასაქმებული ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. უსაფრთხო შრომის მაღალი სტანდარტით გარანტიების საკითხი იდგა საქართველოს საკონსტიტუციო რეფორმის პროცესშიც. საჯარო საპროტესტო გამოსვლების გარდა, ფართომასშტაბიანი სტატისტიკური კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ შრომითი უფლებები განსაკუთრებული სიმძაფრით დგას საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში - გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, ქვეყანაში ყველაზე ხშირად შრომის უფლებები ირღვევა, და სხვა ელემენტებთან ერთად მასში მოიაზრებენ ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო შრომით პირობებს. გარდა საკითხის პრობლემურობისა, კვლევამ აჩვენა, რომ არსებობს მოთხოვნა, რომ შრომით სფეროში უფლებრივი სტანდარტების შესახებ ინფორმაცია იყოს წვდომადი.

შრომის უსაფრთხოების სრულფასოვნად დაცვასთან დაკავშირებით საქართველოს ასევე აქვს საერთაშორისო ვალდებულებები. ამ კონტექსტში აღსანიშნავია ასოცირების შესახებ შეთანხმება, რომელიც დასაქმებისა და სოციალური პოლიტიკის სხვა კომპონენტებთან ერთად მიზნად ისახავს მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილის, სიღარიბის შემცირების, გამლიერებული სოციალური ინტეგრაციის, მდგრადი განვითარებისა და გაუმჯობესებული ცხოვრების დონის უზრუნველყოფას. შრომის სფეროში ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხები ხაზგასმულია ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების განახლებულ დღის წესრიგში (2017-2020). შრომის ინსპექტირების ეფექტური მექანიზმის უზრუნველყოფის შესახებ მითითებს ფარავს საქართველოს მიერ ასოცირების პროცესის განხორციელების შესახებ ევროკომისიის ანგარიშები. საქართველოში შრომითი უსაფრთხოების წესების გამკაცრებისა და მათზე ზედამხედველობის საჭიროების შესახებ მიუთითებს Amnesty International-ი, ასევე ქმედითი შრომის ინსპექციის ამოქმედების აუცილებლობის შესახებ საუბრობს Human Rights Watch.

ამჟამად, საქართველოს პარლამენტი განიხილავს საქართველოს კანონის პროექტს „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, რომელიც ადგენს შრომის უსაფრთხოებისა და

	ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტებს და აფართოვებს ინსპექტირების მექანიზმის მანდატს. კანონის პროექტთან მიმართებით არსებობს საფუძვლიანი კრიტიკა რაც კანონპროექტის მოქმედების შეზღუდულ სფეროს და სხვა არსებით საკითხებს შეეხება, თუმცა, კანონპროექტის მიღებისთანავე ინსპექტირების მოქმედების სფეროში პირველად და არსებითად შემოდის მომეტებული რისკის შემცველი მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ინსპექტირება, რაც ამ მხრივ უკანასკნელი წლების მანძილზე პირველი პრეცედენტია. იმის გათვალისწინებით რომ შრომის ინსპექტირების სისტემა ხელახლა იწყებს მოქმედებას ხანგრძლივი ინსტიტუციური წყვეტის შემდეგ და შეეხება საზოგადოებაში განსაკუთრებულად მაღალი ინტერესის მქონე საწარმოების ინსპექტირების საკითხებს, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სახელმწიფომ უზრუნველყოს ინსპექტირების მექანიზმის არა მხოლოდ ეფექტიანი ფუნქციონირება, არამედ მისი მუშაობა მაქსიმალურად გამჭვირვალე და ხილვადი უნდა გახადოს საზოგადოებისათვის. ეს უკანასკნელი ხელს შეუწყობს ანგარიშვალდებულებისა და სამოლაქო კონტროლის სისტემის ეფექტიან ამოქმედებას, რაც გაზრდის საზოგადოების ნდობას ინსპექტირების სისტემის მიმართ და შეძლებს გარკვეული როლი ითამაშოს ანტიკორუფციულ სტრატეგიაში, კერძოდ, დააზღვიოს შესაძლო კორუფციის რისკები, რაც ასევე გაზრდის ახლადდანერგილი სისტემის ლეგიტიმურობასა და უზრუნველყოფს მის მიმართ მაღალ საზოგადოებრივ ნდობას, როგორც სოციალური პარტნიორების, ასევე ფართო საზოგადოებრივი ჯგუფების მხრიდან. აღნიშნულის მიღწევა კი შესაძლებელია სათანადო ხარისხით გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური პროცესით, რომელშიც არსებითი როლი შესაძლოა ჰქონდეს თანამედროვე ტექნოლოგიებს. წინამდებარე ვალდებულება სწორედ მის რეალიზებას ემსახურება.
ვალდებულების აღწერა	ვალდებულების მიხედვით, უზრუნველყოფილი იქნება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოებთან დაკავშირებით შრომის ინსპექტირების პროცესისა და მისი შედეგების პროაქტიული გამჭვირვალობა და ინტერნეტ პლატფორმაზე დაინტერესებული პირებისათვის თავისუფალი წვდომა. შესაბამის სახელმწიფო უწყებას ექნება ვალდებულება, რომ მძიმე მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოებთან დაკავშირებით შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევების, წარმართული ინსპექტირებისა და პასუხისმგებლობის გამოყენებული ზომების/ასევე შედეგების შესახებ პროაქტიულ რეჟიმში საჯარო ინფორმაცია განათავსოს ინტერნეტ პლატფორმაზე, რაც მოიცავს საქმესთან დაკავშირებით წარმოების ფარგლებში არსებულ საჯარო ინფორმაციას, მათ შორის, ადრესატის სახელწოდებას; შემოწმების შესახებ ინფორმაციას, ინფორმაციას დარღვევისა და გაცემული მითითების შესახებ, მითითების შესრულების შედეგს, გამოუსწორებელობის შემთხვევაში გამოყენებულ სანქციას და სანქციის შედეგად დარღვევის აღმოფხვრის ან ინსპექტირების მხრიდან შესაბამისი ზომების გამოყენების შესახებ ინფორმაციას და სხვა;
ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყება	ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელი წამყვანი საჯარო უწყებაა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

მთავარი მიზანი	ვალდებულების მიზანია შრომის ინსპექტირების სისტემის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის ხელშეწყობა. ამ მიმართულებით ქვე-მიზნებია: ახლადამოქმედებული სისტემის შედეგების მისაწვდომობისა და მის მიმართ საზოგადოებრივი სანდოობის გაზრდის მიზნით მისი მუშაობის პროაქტიული გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, საჯარო რესურსების ეფექტიანად გამოყენებისა და ინსპექტირების სისტემის მიმართ სამოქალაქო კონტროლის შესაძლებლობის ზრდა და სისტემაში შესაძლო კორუფციის რისკების დაზღვევის ხელშეწყობა;
ვალდებულების სამოქმედო გეგმაში გათვალისწინების მიზანშეწონილობა	აღნიშნული ვალდებულების სამოქმედო გეგმაში გათვალისწინება არსებითად გაზრდის შრომის უსაფრთხოების სისტემის ანგარიშვალდებულების ხარისხს და ხელს შეუწყობს მის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებას, რაც განსაკუთრებულად სასიცოცხლოა ახლად დანერგილი ინსტიტუტისათვის, რომლის წინარე ისტორია კორუფციული გამოცდილებითა და დაბალი საზოგადოებრივი ნდობით ხასიათდებოდა. ამასთან, ინსპექტირების განმახორციელებელ ორგანოზე მძლავრი სამოქალაქო კონტროლი მნიშვნელოვნად გაზრდის უწყების მიერ სამუშაოს სათანადო შესრულების ხარისხს და აამაღლებს საწარმოების სურვილს მათი რეპუტაციის შენარჩუნების ან ამაღლების მიზნით, საკუთარი საქმიანობა კანონმდებლობასა და ადამიანის უფლებების სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანონ. აღნიშნული როგორც საჯარო ხელისუფლების, ასევე ბიზნეს სექტორისათვის თავისთავადი (სამოქმედო გეგმის ვალდებულების მიღმა) მოვალეობაა, თუმცა არსებობს მათი არასათანადოდ შესრულების რისკები, რაც განსაკუთრებით მძიმე შედეგებს წარმოშობს შრომის უსაფრთხოების სფეროში. შემოთავაზებული ვალდებულების ამოქმედების შემთხვევაში კი დასახელებული რისკები მეტად იქნება დაზღვეული. საუკეთესო პრაქტიკა წინამდებარე ვალდებულებით გათვალისწინებული ლოგიკა, რომ კომპანიების კანონთან შეუსაბამო ქმედებები და მასზე სახელმწიფოს საპასუხო ქმედებები იყოს პროაქტიულად საჯარო, არ არის ქართული ნოვაცია და მას სხვადასხვა ქვეყანა განსხვავებული ინტენსივობით და ფორმატით, ეროვნული პრობლემატიკის შესაბამისად იყენებს. სახელმწიფო პოლიტიკის მაგალითებს შორის აღსანიშნავია შემდეგი გამოცდილებები: ლატვიაში შრომის ინსპექტორატს (State Labour Inspectorate (VDI)) განხორციელებული აქვს კამპანია, რომლის ფარგლებში საჯაროვდება იმ კომპანიის სახელები, რომლებიც არაკანონიერად ასაქმებენ პირებს. აღნიშნული პოლიტიკის მიზანია, ერთი მხრივ, დამსაქმებლების იძულება, რომ იზრუნონ თავიანთი კომპანიის რეპუტაციაზე და, მეორე მხრივ, საზოგადოებისთვის გახადონ ხილვადი, თუ რომელი კომპანიები არღვევენ დასაქმებულების უფლებებს. კანონთან შეუსაბამო საქმიანობისათვის კომპანიების პროაქტიული გასაჯაროების პრაქტიკა არსებობს ბრაზილიაში, სადაც შესაბამის სიაში შეიყვანეს კომპანიები, რომელთა პროდუქცია გარკვეულწილად დაკავშირებული იყო მონურ შრომაში მყოფი პირების საქმიანობასთან. პორტუგალიის შემთხვევაში შრომის ინსპექცია აქვეყნებს ინფორმაციას ზოგადად შრომის პირობების ინსპექტირების შედეგების შესახებ, რომელიც შეიცავს მონაცემებს ორგანიზაციის სახელწოდების, დარღვევის სახის, საქმიანობის სფეროს, დაკისრებული სანქციის შესახებ. ნიდერლანდების გამოცდილება შემოთავაზებული ვალდებულების მექანიზმს არსებითად იზიარებს. გარდა იმისა, რომ ინსპექტირების შედეგები საჯაროა წლიური

გეგმებისა და ანგარიშების სახით, იმავდროულად ხელმისაწვდომია ინდივიდუალური ინსპექტირების შესახებ ინფორმაციები. ამ მიზნებისათვის არსებობს სხვადასხვა პლატფორმა სფეროების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ეს პლატფორმები არის ნიდერლანდების ბოლო წლების გამოცდილება:

- (1) *პროგრამა „Brzo+“*. პროგრამა 2015 წელს გამოცემული ბრძანებით შეიქმნა (Major Accidents Risk Decree (Brzo 2015)). აღნიშნული ბრძანებით მოცულია წესები შრომითი უსაფრთხოების, გარე უსაფრთხოების და განსაკუთრებული შემთხვევების შესახებ და მიემართება 400-მდე კომპანიას. Brzo+-ის ფარგლებში მონიტორინგი წარიმართება მომეტებული საფრთხის მქონე საწარმოებზე. ინსპექტირების შედეგები საჯაროა - პროცედურის შესაბამისად, გამოქვეყნებამდე შესაბამისი დასკვნა კომენტარებისათვის გადაეცემა შესაბამის კომპანიას (ორი კვირის ვადით). კომპანიის მიერ მასზე პასუხის გაუცემლობა არ აბრკოლებს გამოქვეყნების პროცესს.
- (2) *ასბესტის პროგრამა*. ნიდერლანდებში მოქმედებს პროგრამა ასბესტთან დაკავშირებული დარღვევების შესახებ. იმდენად რამდენადაც აღნიშნული ნივთიერება განსაკუთრებული საფრთხის შემცველია ადამიანებისა და ზოგადად გარემოსათვის. ამ კომპანიების დარღვევების შესახებ ინფორმაცია სპეციალური პორტალის მეშვეობით საჯაროა. საჯარო პორტალი მოიცავს ინფორმაციას კომპანიის სახელწოდების, მასი ადგილმდებარეობის, დარღვევის დროის, დარღვევის სახეობის და სანქციის და სხვ. შესახებ.
- (3) დამატებით, ნიდერლანდები უზრუნველყოფს ინსპექტირების სხვა პლატფორმას, რომელიც კონკრეტული შრომითი საკანონმდებლო აქტების საფუძველზე მოქმედებს.

გლობალური ინიციატივის ფარგლებში მნიშვნელოვანია ILO-სა და საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) პროგრამა „უკეთესი სამუშაო“ (Better Work), რომლის სამოქმედო არეალია სამკერვალო მრეწველობა. პროგრამის მიზანია, ერთი მხრივ, დასაქმებულთათვის ღირსეული შრომითი პირობების შექმნის ხელშეწყობა და მეორე მხრივ, ამ სფეროში მოქმედ ბიზნეს კომპანიებს შორის კონკურენტუნარიანობის გაზრდა. მათი მიღწევის მთავარი საშუალება კი საწარმოების საქმიანობების გამჭვირვალობისა და საჯაროობის უზრუნველყოფა.

ამ პროგრამის ფარგლებში შექმნილია პორტალი, რომელიც პროაქტიულად საჯაროდ ხდის შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ ფართო ინფორმაციას, როგორცაა სამუშაო უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, ბავშვთა შრომა, დისკრიმინაცია, იძულებითი შრომა, დასაქმებულთა კონსენსაცია, კონტრაქტები, გაერთიანების თავისუფლება, კოლექტიური მოლაპარაკებები. პორტალი კომპანიების შესახებ შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: სახელწოდება; ქვეყანა; შეფასების ბოლო თარიღი; საწარმოს შესაბამისობის სტატუსი; საწარმოდან მიღებული პასუხები. აღნიშნული პროგრამა მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში მოქმედებს და ემპირიული მონაცემების მიხედვით, არსებითად დადებითი შედეგებითაც ხასიათდება.

კანონთან შესაბამისობის კონტროლის პროაქტიული საჯაროობის ზემოხსენებული ფორმები სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ინიცირებული გამოცდილებებია, თუმცა, გამოცდილება აჩვენებს, რომ კერძო სექტორიც არსებითადაა დაინტერესებული ამგვარი ინფორმაციული ფორუმის არსებობით. ეს უკანასკნელი გამოიხატება ე.წ. შესაბამისობის კერძო ინიციატივების სახით (private compliance initiatives (PCIs)). PCIs არის კერძო მონიტორინგის სისტემა, რომელიც აფასებს კანონმდებლობასთან ამა თუ იმ კომპანიის აქტივობის შესაბამისობას (შესაბამისი ფოკუსის მიხედვით). PCIs-ს წარმოშობა დაკავშირებულია იმგვარ სიტემებთან, სადაც

არ არსებობდა შრომით კანონმდებლობასთან შესაბამისობის დამდგენი სათანადო მექანიზმები. თანამედროვე პერიოდში შრომის ინსპექტორატი და PCIs-ს ფორმები კომპლექსურად მოქმედებენ და არ განიხილება ერთმანეთის ალტერნატივა. ამ ნაწილში მნიშვნელოვანია გაეროს გლობალური ინიციატივის როლი, რომელიც მდგრადი განვითარების მიზნებზე ორიენტირებით ქმნის კომპანიების საჯაროობისა და გამჭვირვალობის ფორუმს.

ვალდებულების მიზანშეწონილობა ღია მმართველობის პარტნიორობისა და მდგრადი განვითარების მიზნებთან, ასევე ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობასთან მიმართებით

არსებითია, მიმდინარე ვალდებულება მინიმუმ არ ეწინააღმდეგებოდეს, თანხედრაში იყოს (ა) OGP-ის, SDGs-ის ძირითად პრინციპებთან და (ბ) საერთაშორისო თუ ეროვნულ კანონმდებლობასთან.

(ა) მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მიღწევაში OGP-ს პრინციპებსა და მიზანს არსებითი წვლილის შეტანა შეუძლია. ეს მიმართება ორმხრივია. გაეროს მიერ იდენტიფიცირებული მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა ნიშნავს 2030 წლისათვის საზოგადოების ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით გარემოს დაცვით, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში. ზოგადი თვალსაზრისით, წინამდებარე ვალდებულების ფარგლები უპირობოდ ფარავს ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებს. უფრო კონკრეტულად, აღნიშნულ ვალდებულებას მდგრადი განვითარების შემდეგი მიზნები რამდენიმე ასპექტით ეხმიანება:

(1) სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტიული დასაქმება და ყველასათვის ღირსეული სამუშაო. მისი ქვემიზანია შრომითი უფლებების დაცვა და ყველა მშრომელისათვის უსაფრთხო და დაცული სამუშაო გარემოს ხელშეწყობა. მათ შორის არიან მიგრანტები, უფრო კონკრეტულად მიგრანტი ქალები და პირები, რომლებიც დასაქმებულები არიან პრეკარიულ პირობებში. ქვე-მიზნის ინდიკატორია ფატალური თუ არა ფატალური საწარმოო ტრავმები, ასევე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებთან შესაბამისი შრომითი უფლებების გარანტიების უზრუნველყოფა. ხსენებული ინდიკატორები მნიშვნელოვანია სქესისა და მიგრანტის სტატუსის მიხედვით. ამგვარად, წინამდებარე ვალდებულება ეხმიანება მდგრადი განვითარების მიზნებსა და ქვე-მიზნებს, თუმცა იგი არის უფრო ფართო, ვიდრე ამ მიზნის ქვე-მიზანი და მისი ინდიკატორი მიუთითებს. აღნიშნული ვერ გახდება ამ ვალდებულების საწინააღმდეგო არგუმენტი, რადგან მდგრადი განვითარების მიზნების რეალიზებისას არსებითია ქვეყნის კონტექსტის გათვალისწინება, ასევე OGP-ს ინტერპრეტაცია.

ქვეყნის კონტექსტის გავლენით, მდგრადი განვითარების მიზნის რეალიზაციის პოლიტიკები შესაძლებელია განსხვავებული იყოს რამდენიმე საფუძველით:

- მდგრადი განვითარების მიზნები არის უნივერსალური ხასიათის, თუმცა მისი რეალიზების მოლოდინი განსხვავებული მასშტაბისაა ქვეყნებთან მიმართებით. ქვეყნის თავისებურებები და შესაბამისად გამოწვევის ინტენსივობა არსებითი განმაპირობებელია მათი აღმოფხვრის საშუალებების დაგეგმვისას.
- მიჩნეულია, რომ მიზნების ინდიკატორების შეზღუდულობა, აბრკოლებს მისი რეალიზების პროცესს. ამიტომ კარგ პრაქტიკას და შესაბამის რეკომენდაციას წარმოადგენს, რომ სახელმწიფოებმა გაამდიდრონ მიზნის

მიღწევის საშუალებები თავიანთი კონტექსტის შესაბამისად. საქართველოს შემთხვევაში განსაკუთრებული სიმძაფრით დგას სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის გამოწვევა. აღნიშნული არის იმ სიცხადის და მასშტაბის პრობლემა, რაც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული მდგრადი განვითარების ზემოაღნიშნული მიზნის მიღწევის საშუალებების განსაზღვრისას.

უშუალოდ OGP ამ მიზნის მიღწევის საშუალებებს შორის ერთ-ერთ ფუძემდებლურ მექანიზმად განიხილავს „საჯარო სექტორის ფინანსების მენეჯმენტისა და ფინანსური ინსტიტუტების გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას“. აღნიშნული კონცეფციის ფართო განმარტების პირობებში შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის საქმიანობა მასში მოექცევა. სხვა საშუალებებს შორის, ღია მმართველობის პარტნიორობა საუბრობს რეგულაციების გამჭვირვალობაზე, ასევე ძლიერი საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების მექანიზმების არსებობის შესახებ.

(2) მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე. აღსანიშნავია ქვე-მიზნები, როგორებიცაა კორუფციისა და ქრთამის აღების ყველა ფორმის არსებითად შემცირება (16.5); ყველა დონეზე ეფექტური, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე ინსტიტუტების განვითარება (16.6); ასევე ინფორმაციაზე საჯარო წვდომის უზრუნველყოფა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვა, ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად (16.10), რომლის ერთ-ერთი ინდიკატორია პროფესიული კავშირების წარმომადგენელთა უფლების დაცვა, რომ გამოირიცხოს მკვლელობა, მოტაცება, გაუჩინარება, თვითნებური დაკავება, წამება. ამგვარად, მდგრადი განვითარების მიზანია ანგარიშვალდებული ინსტიტუტების მშენებლობა, რაც ცხადად უკავშირდება მითითებული ვალდებულების შინაარსს.

(3) ხსენებულ ვალდებულებასთან მიმართებით არაპირდაპირ დაკავშირებულია მდგრადი განვითარების სხვა მიზნები, როგორიცაა შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა; ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის; უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის; ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

ხსენებული მიზნების რეალიზებაში განსაკუთრებული როლი აქვს საჯარო ხელისუფლებას, რომლის მოქმედებებთან მიმართებითაც არსებობს ოთხი პრინციპული მოთხოვნა, რომ იგი იყოს ეფექტური, გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და დემოკრატიული.

(ბ) საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს დაინტერესებული პირებისთვის სახელმწიფო დაწესებულებებში დაცული ოფიციალური დოკუმენტების გაცნობის უფლებას. კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის საჯარო დაწესებულებებმა ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება სახელმწიფო ამოცანების შესრულებას, ახორციელებს საჯარო უფლებამოსილებას. საჯარო ინფორმაციაზე კონსტიტუციით განმტკიცებული ღია

მმართველობის, სახალხო სუვერენიტეტის, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების გამოხატულებაა.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დემოკრატიული სახელმწიფო გულისხმობს ხალხის მმართველობას, მონაწილეობას არა მარტო ხელისუფლების ფორმირებაში, არამედ მის განხორციელებაში, რისთვისაც ინსტრუმენტალურად მნიშვნელოვანია სახელმწიფო დაწესებულებების საქმიანობაზე ზედამხედველობის შესაძლებლობა ოფიციალურ ინფორმაციაზე წვდომის გზით. საკონსტიტუციო სასამართლო მათ შორის სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაზეც საუბრობს, შექმნას შესაბამისი გარანტიები, რათა შესაძლებელი გახდეს საჯარო საკითხებზე დაინტერესებული პირების ინფორმირებულობა. ასეთი პოზიტიური ვალდებულების შესაბამისად, კონსტიტუცია განსაკუთრებულ წესრიგს ამყარებს მოცემულ უფლებაში ჩარევის დასაშვებობისთვის.

ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი ნორმები საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში არის მოცემული. ადმინისტრაციული კოდექსი საჯარო დაწესებულებებში არსებულ ყველა ინფორმაციას ხელმისაწვდომად მიიჩნევს, თუკი მისი გაცემა კანონით არ არის შეზღუდული (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილი). ფიზიკური პირის მაიდენტიფიცირებელი, პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ექვემდებარება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირებას. არც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და არც, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს შრომის პირობების ინსპექტირების შედეგად დამუშავებული ოფიციალური ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ ჩანაწერს. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ჩანაწერი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ვერ ამოიკითხა საქართველოს საკანონმდებლო აქტებში.

ასოცირების შეთანხმების 30-ე დანართი მოიცავს დირექტივების ჩამონათვალს სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ. სამუშაო ადგილზე მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ზომების შემოღების შესახებ დირექტივის მიხედვით, ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ სათანადო კონტროლი და ზედამხედველობა ამ საკითხებზე. ამასთან, ეროვნულმა კანონმდებლობებმა შესაძლებელია დაადგინონ იმგვარი პირობები, რაც სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის უკეთესი საშუალებაა. აღნიშნული ფორმულირებები იძლევიან შესაძლებლობას, რომ ეროვნული გამოწვევების მხედველობაში მიღებით, სახელმწიფოებმა განსაზღვრონ კონტროლის ადეკვატური პოლიტიკა. 30-ე დანართში მითითებული დირექტივები სპეციფიკური რეგულირებების მიუხედავად, როგორც წესი, აწესებენ დამსაქმებლის ვალდებულებას დასაქმებულების მიმართ ინფორმაციის გავრცელების შესახებ.

ევროპის სოციალური ქარტიით (განახლებული) გამოყოფილია უფლებრივი პრიორიტეტი უსაფრთხო და ჯანმრთელ სამუშაო პირობებზე. მისი მიხედვით, სოციალურ პარტნიორებთან დიალოგის რეჟიმში უნდა ხორციელდებოდეს და ახლდებოდეს ჯანმრთელობისა და სამუშაო გარემოს შესახებ ეროვნული პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებას და უბედური შემთხვევებისა და ჯანმრთელობის დაზიანების თავიდან აცილებას.

ვალდებულების შესრულების თანმიმდევრული ნაბიჯები	ვალდებულების შესრულებისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი წინაპირობების დაკმაყოფილება: (1) უზრუნველყოფილი იქნეს სპეციალური ინტერნეტ პორტალის შექმნა; (2018 წლის დეკემბერი) (2) განხორციელდეს უკვე არსებული ინფორმაციის შესაბამის პლატფორმაზე განთავსება და პლატფორმის ამოქმედება; (2019 წლის მარტი); (3) დაიგეგმოს შესაბამისი საინფორმაციო კამპანიები; (2019 წლის დეკემბერი).
ვალდებულების საბოლოო დასრულების სასურველი თარიღი (2018-2019 წლების განმავლობაში)	ვალდებულების შესრულების საბოლოო ვადად განისაზღვროს 2019 წლის დეკემბერი.

5) სათანადო საცხოვრისის უფლების რეალიზების მიზნით სტრატეგიის დოკუმენტისა და სამთავრობო სამოქმედო გეგმის შემუშავება

პრობლემის აღწერა:

საქართველოში უსახლკარობა და სათანადო საცხოვრისის არქონა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. თუმცა, უსახლკარობის პრობლემის სიმწვავის მიუხედავად, არსებული სახელმწიფო პოლიტიკა არ აღიარებს ამ საკითხის მნიშვნელობას, რაც საცხოვრებლის არმქონე ან მისი დაკარგვის რისკის წინაშე მდგომი შინამეურნეობების საჭიროებების უგულვებელყოფასა და უსახლკარობის პრობლემის საზოგადოებრივ დღის წესრიგში არასაკმარის არსებობაში გამოიხატება.

საქართველოში უსახლკარობის პრობლემის სისტემურობას აჩვენებს არაერთი კვლევითი დოკუმენტი, მათ შორის, საქართველოს სახალხო დამცველი სპეციალურ ანგარიშში „უფლება სათანადო საცხოვრისზე“, აკრიტიკებს სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი კანონმდებლობის, პოლიტიკისა და ინსტიტუციური სისტემის არქონას. სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში თბილისის მასშტაბით უსახლკარო ჯგუფების საგანგაშოდ მაღალ მაჩვენებელზე მიუთითებს: „თბილისის გამგეობების მიერ წარმოდგენილი ოფიციალური ინფორმაციით, თბილისის მასშტაბით იდენტიფიცირებულია 401 ობიექტი, რომელიც 9 805 ოჯახს თვითნებურად აქვს დაკავებული წლების განმავლობაში.“

სახელმწიფოს მხრიდან სტატისტიკური და კვლევითი მონაცემების არარსებობის მიუხედავად, არსებული მდგომარეობა აჩვენებს რომ საქართველოში უსახლკარობის მიზეზები სისტემურია. ქ. თბილისის მასშტაბით ჩატარებული უახლესი კვლევა ავლენს, რომ თბილისის მასშტაბით უსახლკარობა უმეტესად გამოიხატება ისეთ ფორმებში როგორიცაა: მიუსაფრობა, არასათანადო საცხოვრისებში ცხოვრება, დროებით საცხოვრისებში ცხოვრება, საცხოვრისის მუნიციპალურ სერვისებში და ინსტიტუციებში ცხოვრება და ინსტიტუციების დატოვების შემდეგ უსახლკაროდ დარჩენის მოცემულობა, რაც ამ ჯგუფების უმძიმეს პირობებში, ფიზიკური და ბაზისური სოციალური უსაფრთხოების გარეშე, ღირსების შემლახავ, ხშირად ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ გარემოში ცხოვრებას გულისხმობს. ამასთან, EMC-ის კვლევა აჩვენებს რომ მუდმივად კვლავწარმოებული უსახლკარობის შემთხვევები სტრუქტურულ, ინსტიტუციურ და ზოგიერთ შემთხვევაში საოჯახო ურთიერთობების დონეზე ვლინდება. კერძოდ, სტრუქტურულ დონეზე უსახლკარობის სამ ძირითად მიზეზთაგანაა: შიდა მიგრაცია, ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის სირთულე, უმუშევრობა თუ არასათანადო დასაქმება. ინსტიტუციურ დონეზე უსახლკარობას წარმოშობს: საცხოვრისის სერვისების არარსებობა, შეთავაზებული სერვისის არასათანადოობა, სერვისების გარდამავალი ბუნების გაუთვალისწინებლობა და ერთჯერადი დახმარებების ხარვეზულობა. ხოლო უსახლკარობისა და სათანადო საცხოვრისის არქონის მიზეზები საოჯახო ურთიერთობების დონეზე განისაზღვრება ქალების შევიწროების, მათ მიმართ ძალადობის ასევე კერძო საკუთრებისა თუ საშინაო შრომის უსამართლო განაწილებით, რაც უსახლკარობის რისკებს წარმოშობს და ხშირად მისი მიზეზი ხდება.

უსახლკარობის მასშტაბის და მისი წარმოქმნის სისტემური მიზეზების მიუხედავად, სახელმწიფო არ ახდენს უსახლკარობის როგორც სოციალური ფენომენის აღიარებას, მისი სისტემური მიზეზების კვლევას და პრევენციას. საქართველოში უსახლკარობის პრობლემის სიმწვავისა და მასშტაბის მიუხედავად, სახელმწიფოს არ გააჩნია უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის ხედვა და სტრატეგია, უსახლკარობის მასშტაბის, მისი გამომწვევი მიზეზებისა და უსახლკაროთა რაოდენობის შესახებ

ინფორმაცია, ასევე, უსახლკარობის პრევენციისა და მასზე რეაგირების ერთიანი სისტემა. უსახლკარობის საკითხის ცენტრალური ხელისუფლების დღის წესრიგში გაუთვალისწინებლობა მნიშვნელოვან ნეგატიურ გავლენას ახდენს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ ამ საკითხის პრიორიტეტიზაციაზე და წარმოადგენს დაბრკოლებას სათანადო და ეფექტიანი პოლიტიკის ფორმირებისათვის ადგილობრივ დონეებზე. შედეგად, უსახლკარობის შემთხვევების გამოვლენა და მათი საჭიროებების უზრუნველყოფა მხოლოდ ფრაგმენტულად განვითარებულ, უსახლკარობის დროებითი მართვის მიდგომებზე დაფუძნებული, რაც გადაუდებელ და კრიტიკულ შემთხვევებზე რეაგირებითი ღონისძიებებით შემოიფარგლება და ამცირებს უსახლკარო შინამეურნეობების მდგომარეობის გარდაქმნის და უსახლკარობის დაზღვევის შესაძლებლობებს.

საცხოვრის უფლების გარანტირების საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და შიდა კანონმდებლობაში არსებული რამდენიმე სუსტი და ბუნდოვანი ჩანაწერის მიღმა საქართველოში 2014 წლამდე არ არსებობდა პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც სახელმწიფო აღიარებდა უსახლკარობის პრობლემას. მხოლოდ საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულმა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულმა სტრატეგიამ (2014–2020 წლებისთვის) მოახდინა საცხოვრის უფლების რეალიზების, როგორც სახელმწიფოს წინაშე არსებული გამოწვევის დეკლარირება. ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია განსაზღვრავს შემდეგ მთავარ ამოცანებს: ა) სათანადო საცხოვრებლის უფლების უზრუნველსაყოფად სახელმწიფოში არსებული რესურსების შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალური კონცენტრირება; ბ) სათანადო საცხოვრებლის უფლების ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოფა; გ) ეფექტიანი ღონისძიებები მოწყვლადი ჯგუფებისთვის სათანადო საცხოვრებლის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად; დ) სათანადო საცხოვრებლის უფლების უზრუნველსაყოფად საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობისა და სახელმწიფო საბინაო სტრატეგიის შექმნა, რომელიც ყველა ჯგუფის ინტერესებს გაითვალისწინებს; ე) უსახლკაროთა აღრიცხვა და მონაცემთა ბაზის შექმნა; ვ) მინიმალური საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა. სტრატეგიის დოკუმენტში გაცხადებული სახელმწიფო ხედვის მიუხედავად, საცხოვრის უფლების რეალიზების კონკრეტული ღონისძიებები არ მოიცავს საქართველოს მთავრობის 2014-2015 წლებისა და 2016-2017 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმებმა.

2015 წლის აგვისტოში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეიქმნა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზნად უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი სტრატეგიის დამუშავება განისაზღვრა. სამუშაო პროცესი, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების გარდა, სახალხო დამცველისა და სხვადასხვა აქტორის მონაწილეობით მიმდინარეობდა. შედეგად, სამინისტრომ შექმნა უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის სამუშაო ვერსია. დოკუმენტი, თავის მხრივ, არაერთი ხარვეზით ხასიათდებოდა, თუმცა ის ამ დრომდე არ დამტკიცებულა და სტრატეგიაზე მუშაობის პროცესი სამინისტროს მხრიდან შეჩერებულია.

უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ხედვისა და სამოქმედო გეგმის არარსებობის პირობებში გადაუჭრელი და პასუხგაუცემელი რჩება არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი რაც შეუძლებელს ხდის პრობლემის წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას. მიუხედავად იმისა, რომ უსახლკარობის მიზეზები სტრუქტურულია

	სახელმწიფოს არ გააჩნია უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის პრევენციული პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს უსახლკარობის შემთხვევების შემცირება და მიმართული იყოს იმ სტრუქტურული მიზეზების აღმოფხვრაზე რაც იწვევს და აწარმოებს უსახლკარობას, როგორც სოციალური მოწყვლადობის ყველაზე რადიკალურ გამოხატულებას. ამასთან, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს უსახლკარობის წინააღმდეგ ინსტიტუციური ჩარჩოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობა უსახლკარობის პრობლემაზე ძირითად პასუხისმგებლობას ადგილობრივ თვითმმართველობას აკისრებს. ცენტრალური ხელისუფლებისგან განყენებულად, მუნიციპალიტეტების მიერ წარმოებული პოლიტიკა კი არაერთგვაროვანს და ფრაგმენტულს ხდის მუნიციპალიტეტების მიერ გაწეულ ძალისხმევას, რაც მწირი ბიუჯეტის პირობებში ხშირ შემთხვევაში შეუძლებელს ხდის ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელებას და უსახლკაროთა საჭიროებების დაკმაყოფილებას, რაც ცხადად აჩვენებს ცენტრალურ დონეზე დაგეგმილი პოლიტიკის არსებობის აუცილებლობას. ამასთან, სათანადო საცხოვრისის უფლების შინაარსს ეროვნული კანონმდებლობა ლიმიტირებულად განმარტავს და მას მხოლოდ თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის კომპონენტამდე ავიწროებს. ეროვნული კანონმდებლობა არ მოიცავს სათანადო საცხოვრისის უფლების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამის შინაარსს, მის კომპონენტებს და მინიმალურ სტანდარტებს. კანონმდებლობის მიერ დადგენილი უსახლკარობის დეფინიცია კი არ მოიცავს უსახლკარობის რეალობაში არსებულ ფორმებს და მუნიციპალიტეტების მხრიდან თვითნებური ინტერპრეტაციის შესაძლებლობებს ტოვებს, რაც მუნიციპალიტეტის დონეზე არაერთგვაროვანი და უთანასწორო პრაქტიკის ჩამოყალიბების საფუძველია. უნიფიცირებული და გააზრებული პოლიტიკის არარსებობის პრობლემა ასევე ვლინდება უსახლკარობის წინააღმდეგ არსებული სერვისების ფრაგმენტულ ხასიათში, რის შედეგადაც, სათანადოდ არ არის განვითარებული უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის სერვისები, რაც ვერ პასუხობს არსებულ გამოწვევებს და რეალურად იგი მხოლოდ სათანადო საცხოვრისის არმქონე მცირე ჯგუფს მიემართება.
ვალდებულების აღწერა	სახელმწიფომ შეიმუშავოს უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგია და მის საფუძველზე შექმნას უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმა, რაც დაეფუძნება უსახლკარობის მასშტაბის, უსახლკაროთა საჭიროებისა და უსახლკარობის წარმოქმნის მიზეზების კვლევით მონაცემებს და უზრუნველყოფს ერთი მხრივ ცენტრალურ დონეზე უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანი უწყებების კოორდინაციას და მეორეს მხრივ მოიცავს უსახლკარობის წინააღმდეგ როგორც პრევენციული, ასევე რეაგირებითი პოლიტიკის წარმოებისათვის თანმიმდევრულ ხედვას, ნაბიჯებს და ეტაპობრივად უპასუხებს უსახლკარობის პრევენციის მიზნით მნიშვნელოვანი მექანიზმების არარსებობის პრობლემას, ეროვნულ კანონმდებლობაში არსებულ სისუსტეებს, უწყებებს შორის პასუხისმგებლობების არასათანადო განაწილებისა და მათი აღუსრულებლობის პრობლემასა და სხვა მნიშვნელოვან გამოწვევებს.

ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყება	1. უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის შექმნა - საქართველოს მთავრობა; 2. უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შექმნა - საქართველოს საქართველოს მთავრობა/შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
მთავარი მიზანი	სათანადო საცხოვრისის უფლების რეალიზების მიზნით უსახლკარობის პრობლემასთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შექმნის მთავარი მიზანია, არსებული საჭიროებების იდენტიფიცირების გზით, სახელმწიფომ აღიაროს უსახლკარობის პრობლემა და შექმნას ხედვა სტრატეგიისა და გეგმის სახით, რაც ეტაპობრივად უპასუხებს უსახლკარობის გამოწვევებს საქართველოში.
ვალდებულების სამოქმედო გეგმაში გათვალისწინების მიზანშეწონილობა	უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა მნიშვნელოვანი პოლიტიკის დოკუმენტებია, რომელთაც მაღალი პოლიტიკური ლეგიტიმაცია გააჩნიათ და თავის თავში მოიცავენ როგორც პრობლემის გადაჭრაზე მიმართულ ხედვას, ასევე საკითხის, როგორც მნიშვნელოვანი გამოწვევის აღიარებას და სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი მზადყოფნის დაფიქსირების. კერძოდ, ეროვნული სტრატეგიის შემუშავების შემთხვევაში სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა ცხადად და მკაფიოდ განსაზღვროს სახელმწიფოს პოზიცია და ხედვა უსახლკარობის/სათანადო საცხოვრისის არქონის საკითხის გადაწყვეტის მიზნით სახელმწიფოს ვალდებულებების მასშტაბისა და გადასადგმელი ნაბიჯების თაობაზე. ეროვნული სტრატეგიის საფუძველზე შექმნილი სამთავრობო სამოქმედო გეგმა წარმოადგენს მოკლევადიან სამოქმედო დოკუმენტს, რომელიც სახელმწიფოს მისცემს ეტაპობრივი და სათანადო დაგეგმვის პირობებში პრობლემის მასშტაბის შემცირებისა და უსახლკარობის პრობლემაზე საპასუხო ჩარჩოს (ინსტიტუციური და საკანონმდებლო) ამოქმედების შესაძლებლობას მისი საბოლოო აღმოფხვრის მიზნით. ამასთან, ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შექმნა და მისი იმპლემენტაცია წარმოადგენს უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო გამოცდილებას სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფოს მხრიდან გააზრებული ხედვის არსებობას და მის რეალისტურ და განჭვრეტად ვალდებულებებში გადატანას (სამოქმედო გეგმის სახით) და ქმნის სხვადასხვა დონეზე უწყებათა შორის კოორდინირებული მუშაობის ფორმატს და უზრუნველყოფს შესაბამის უწყებებს შორის პასუხისმგებლობის სათანადო განაწილებას. ამგვარი დოკუმენტები განსაკუთრებულად დიდ მნიშვნელობას შესაძლოა იძენდნენ იმგვარ კონტექსტში როდესაც სახელმწიფო იწყებს პირველადი ნაბიჯების გადადმას უსახლკარობის პრობლემის აღმოსაფხვრელად, რაშიც გადამწყვეტ როლს ცენტრალური ხელისუფლების მიერ საერთო ხედვისა და გეგმის შემუშავება ასრულებს. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ უსახლკარობის, როგორც ფენომენის, კომპლექსური ბუნების გათვალისწინებით და დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, დღეს ერთმნიშვნელოვნადაა აღიარებული, რომ უსახლკარობასთან ეფექტიანი ბრძოლა შესაძლებელია თანმიმდევრული და კომპლექსური პოლიტიკის საფუძველზე. სწორედ ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტი უნდა აღწერდეს სახელმწიფოს მიდგომას უსახლკარობასთან ბრძოლის

კუთხით და განსაზღვრავდეს მის ძირითად ამოცანებსა და მიმართულებებს. ამდენად, სახელმწიფო სტრატეგიის დოკუმენტი, როგორც ქვეყნის დეკლარირებული ხედვა, მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინსტრუმენტია უსახლკარობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ევროპული ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ ისინი უმეტესად კონცენტრირდებიან სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობის ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტზე, როგორიცაა: სტრატეგიის დაფუძნება უსახლკარობის სრულად აღმოფხვრის ამოცანასა და სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული სტრატეგიების დაახლოებაზე, ერთიანი ევროპული სტრატეგიის შექმნის მიზნით. 2010 წელს ევროკომისიისა და ევროპული საბჭოს სოციალური დაცვის კომიტეტის საერთო ანგარიშში, რომელიც კოორდინაციის ღია მეთოდით (OMC) შეიმუშავეს, უსახლკარობის აღმოფხვრა ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიზნად განისაზღვრა და შეთანხმდა ქვეყნებს შორის მიღწეული კონსენსუსის, უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ სამოქმედო გეგმებსა და სტრატეგიებში ასახვის აუცილებლობა. ევროპის ქვეყნების გამოცდილების თანახმად, უსახლკარობასთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგია, როგორც უსახლკარობის აღმოფხვრისაკენ მიმართული სახელმწიფოს ხედვის განაცხადი, მოიცავს ნათლად გაწერილ მიზნებს, განზრახვებსა და ხედვას იმ მიმართულებების შესაბამისად, რაც კონკრეტულ მოცემულობაში სახელმწიფოსთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. მათ შორის, სტრატეგიის მიმართულებები შესაძლოა, მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: უსახლკაროთა ყველაზე მძიმე და მოწყვლადი ჯგუფების დახმარების პრიორიტეტიზაცია, გამოსახლების პრევენცია და მისი რაოდენობის შემცირება, ეფექტური ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნის აუცილებლობა, პრევენციული ღონისძიებების განვითარების პრიორიტეტიზაცია, უსახლკარობასთან ბრძოლის სტატისტიკურ ანალიზზე დაფუძნებული მეთოდების შემუშავებისა და სტატისტიკის განახლების მნიშვნელობა, სტრატეგიის დოკუმენტის სისტემატური გადახედვისა და მისი ეფექტიანობის შეფასების საჭიროება და სხვა.

ამასთან, EMC-ის მიერ შესწავლილი სახელმწიფოების გამოცდილება მიუთითებს, რომ უსახლკარობის კვლევა და სტატისტიკური მონაცემების ანალიზი უსახლკარობის წინააღმდეგ მიმართული ეფექტური ინსტრუმენტების შემუშავების უმნიშვნელოვანესი გზაა. უფრო მეტიც, ევროპის სოციალური ქარტიის კომიტეტი თავის დიგესტებში პირდაპირ მიუთითებს წევრ სახელმწიფოებს, რომ მხოლოდ უსახლკაროთა სტატისტიკურ და კვლევით მონაცემებზე დაყრდნობით შემუშავებული სტრატეგია მიიჩნევა ქარტიის მოთხოვნებთან შესაბამისად.

მითითებული ვალდებულება უკავშირდება ღია მმართველობის პარტნიორობის ანგარიშვალდებულებისა და მოქალაქეთა მონაწილეობის პრინციპებს. დასახელებული ვალდებულებების შესრულება ერთი მხრივ აამაღლებს მოწყვლადი ჯგუფების მიმართ სახელმწიფოს პასუხისმგებლობას და შექმნის ჩარჩოს სახელმწიფოს მიერ მომავალი ვალდებულებების ასაღებად უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ხოლო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მონაწილეობითი პროცესი ასევე უზრუნველყოფს მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობას და პასუხობს მონაწილეობის პრინციპს. ამასთან, OGP-ის სამდივნო რეკომენდაციას უწევს მთავრობებს, ეროვნულ სამოქმედო გეგმაში, დააინტეგრირონ მდგრადი განვითარების პრინციპები. უსახლკარობა კი SDG-ის მე-11 მიზნის განუყოფელი ნაწილია და ამასთან პირდაპირი კავშირი აქვს SDG-ის პირველ და მესამე მიზნებთან.

ვალდებულების შესრულების თანმიმდევრული ნაბიჯები	1. უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის შემუშავება უნდა მოიცავდეს ორ ეტაპს: (1) პრობლემის მასშტაბის, საჭიროებებისა და უსახლკარობის მიზეზების შესწავლის მიზნით კვლევის წარმოება (8 თვე) (2) უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება სხვადასხვა ჯგუფების ჩართულობის გზით და მისი დამტკიცება (4 თვე); 2. უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცება (6 თვე);
ვალდებულების საბოლოო დასრულების სასურველი თარიღი (2018-2019 წლების განმავლობაში)	ვალდებულების დასრულების თარიღად განისაზღვროს 2019 წლის დეკემბერი.

ელექტრონული პორტალის შექმნა

ასოცირების შესახებ შეთანხმებისა (თავი 3. „გარემო“ და 26-ე დანართი) და ასევე, ღია მმართველობის პარტნიორობის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმით (ვალდებულება #16) გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად, საქართველოს პარლამენტმა, 2017 წლის 1 ივნისს, მიიღო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“.

კოდექსი ახლებურად არეგულირებს [კოდექსითვე დადგენილი] გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე საქმიანობების განხორციელების შესახებ კომპეტენტური ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურას (კოდექსის მიღებამდე ამ საკითხს არეგულირებდა საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“, 2007). კოდექსმა, გარდა ამისა, შემოიტანა კომპეტენტურ ორგანოთა მიერ სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებების მიღების სხვა ინსტრუმენტებიც, რომლებიც აბსოლუტურად ახალია საქართველოსთვის. ეს ინსტრუმენტები საქართველოში ეტაპობრივად ამოქმედდება. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში შეჯამებულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილი გადაწყვეტილებების მიღების ინსტრუმენტები და მათი ამოქმედების ვადები.

პრობლემის აღწერა

#	გადაწყვეტილების მიღების ინსტრუმენტი	ამოქმედების თარიღი
1	გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება - გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (გზშ) დაქვემდებარებულ დაგეგმილ საქმიანობებზე	ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვარს
2	გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება - გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასებას (გტზშ) დაქვემდებარებულ დაგეგმილ საქმიანობებზე	ამოქმედდება „ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ კონვენციისა და მისი „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ“ ოქმის საქართველოსთვის ძალაში შესვლისთანავე.
3	სტრატეგიულ დოკუმენტთან დაკავშირებით რეკომენდაციების გაცემა - სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებას (სგშ) დაქვემდებარებულ სტრატეგიულ დოკუმენტებზე	კოდექსით დადგენილი ნორმების ნაწილი ამოქმედდება 2018 წლის 1 ივლისიდან, ნაწილი კი - 2018 წლის 31 დეკემბრიდან.
4	სტრატეგიულ დოკუმენტთან დაკავშირებით რეკომენდაციების გაცემა - გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასებას (გტზშ) დაქვემდებარებულ სტრატეგიულ დოკუმენტებზე	ამოქმედდება „ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ კონვენციისა და მისი „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ“ ოქმის საქართველოსთვის ძალაში შესვლისთანავე.
5	მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება - კოდექსის 47-ე (გარდამავალი) მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ე.წ. „მიმდინარე საქმიანობებზე“	ამოქმედდა 2017 წლის 21 ივნისს (კოდექსის გამოქვეყნებისთანავე).

	როგორც ცხრილიდან ჩანს, პირველ და მე-5 პუნქტებში მითითებული გადაწყვეტილებების მიღების ინსტრუმენტები უკვე ძალაშია, ხოლო დანარჩენები ეტაპობრივად ამოქმედდება მომდევნო წლებში. ყურადსაღებია, რომ ყველა ეს ინსტრუმენტი ითვალისწინებს გადაწყვეტილებების მიღებას სამ ეტაპად (სკრინინგი, სკოპინგი და საბოლოო გადაწყვეტილება) და ყოველ ეტაპზე - საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესის გამოყენებას. ეს კი ნიშნავს, ხუთივე სახის გადაწყვეტილების მიღების პროცესის სამივე ეტაპზე: (ა) გადაწყვეტილებების მიღებამდე საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციფიური ინფორმაცია; (ბ) უნდა გავრცელდეს ინფორმაცია დაგეგმილი საჯარო განხილვების შესახებ; და (გ) საბოლოოდ, გამოქვეყნდეს მიღებული გადაწყვეტილებები. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის ამოქმედებამდე, კოდექსის წინამორბედი - „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონი - ითვალისწინებდა ზემოთ მოყვანილი ცხრილის პირველ და მე-5 პუნქტებში აღნიშნული გადაწყვეტილებების მსგავსი გადაწყვეტილებების (ნებართვების) გაცემას, ოღონდ მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. ეს წესი, შეუძლებელს ხდიდა საზოგადოების ინფორმირებას დაგეგმილი გადაწყვეტილებების შესახებ და მონაწილეობას ამ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მუდმივი კრიტიკისა და ზეწოლის შედეგად, გარკვეული ხნის წინ [გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების] სამინისტრომ, ნებაყოფლობით(!), დაიწყო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული გარკვეული ინფორმაციის გამოქვეყნება. ინფორმაციის ნაწილი თავსდებოდა თავად სამინისტროს ვებ-გვერდზე, ნაწილი კი, სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ-ის - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე. ინფორმაცია თავსდებოდა არასრულად და უსისტემოდ. ზემოაღწერილი პრაქტიკა, ინერციით, გააგრძელა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ. ვინაიდან 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი გადაწყვეტილებების მიღების ახალ წესებს აყალიბებს, ბუნებრივია, სამინისტრომაც უნდა შეცვალოს მიდგომები და პრაქტიკა, და მოემზოს ტექნიკური ინსტრუმენტი ახალი მოთხოვნების სრულფასოვნად დასაწერად; ანუ, დანერგოს ისეთი ტექნიკური ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციაზე დროულ და დაუბრკოლებელ ხელმისაწვდომობას და გადაწყვეტილებების მიღების ყველა ეტაპზე საზოგადოების ეფექტურ მონაწილეობას.
ვალდებულების აღწერა	შემოთავაზებული ვალდებულება გულისხმობს მომხმარებელზე (ფართო საზოგადოებაზე) ორიენტირებული სპეციალური ელექტრონული პორტალის შექმნას, რომელიც შესაძლებელს გახდის ზემოთ, ცხრილში აღწერილი გადაწყვეტილებების მიღებისას, საზოგადოების ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას და მონაწილეობას ამ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

	ამ მიზნის მისაღწევად, შესაძლოა, შემუშავდეს ახალი პორტალი ან გამოყენებულ იქნეს არსებული შესაძლებლობები (მაგალითად, data.gov.ge, my.gov.ge, „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებ-გვერდი ან სხვა - რელევანტურობის მიხედვით). ელექტრონული პორტალი, საწყისად, გამოყენებული იქნება ცხრილის პირველ და მე-5 პუნქტებში მოცემული გადაწყვეტილებებისთვის; შემდგომ, კოდექსის სხვა ნორმების ამოქმედებასთან ერთად, პორტალის გამოყენება შესაძლებელი იქნება მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებში მოცემული გადაწყვეტილებებისთვისაც. გრძელვადიან პერსპექტივაში, პორტალი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა სახის ნებართვებისა და ლიცენზიების (მაგ., მშენებლობის ნებართვის) გაცემის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას, როგორც ინფორმაციაზე და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი. ელექტრონული პორტალის არსებობა აუცილებელია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების სრულფასოვნად შესასრულებად. ამავე დროს, ასეთი პორტალის არსებობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმის გამო, რომ გარემოსდაცვითმა უწყებამ ბოლო ათწლეულის განმავლობაში არაერთხელ განიცადა მნიშვნელოვანი რეორგანიზაცია. ბოლო ასეთი რეორგანიზაცია 2017 წლის დასასრულს მოხდა, როდესაც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო უეცრად გაუქმდა და მისი ფუნქციები გადანაწილდა ორ სამინისტროში: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებში. სულ ახლახანს, 2018 წლის 20 თებერვალს, ცნობილი გახდა, რომ იგეგმება ზემოთ მოცემულ ცხრილში აღნიშნული გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილების დელეგირება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთ-ერთ სსიპ-ზე - გარემოს ეროვნულ სააგენტოზე. ასეთი რეორგანიზაციები და ფუნქციების გადანაწილებები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის შინაარსზე, მოცულობასა და დროულობაზე. ელექტრონული პორტალის შექმნის (ან არსებულის 'გაფართოების') შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება ინფორმაციის ნაკადის სტაბილურობა, მიუხედავად ხელისუფლების ორგანოების სტრუქტურული ცვლილებებისა.
ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყება	• წამყვანი უწყება - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. • ასევე, ჩართული უნდა იყოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ვინაიდან ზოგ შემთხვევაში, ეს სამინისტრო ინაწილებს გადაწყვეტილების მიღების ტვირთს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.
მთავარი მიზანი	გარემოსთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

ვალდებულების შესრულების თანმიმდევრული ნაბიჯები	<table border="1"> <tr> <td data-bbox="555 302 695 394">I ეტაპი:</td><td data-bbox="695 302 1455 394">ახალი პორტალის შექმნის ან არსებული პორტალების გამოყენების შესაძლებლობების გამოვლენა</td></tr> <tr> <td data-bbox="555 394 695 487">II ეტაპი:</td><td data-bbox="695 394 1455 487">განსათავსებელი ინფორმაციის და ფუნქციების ზუსტი განსაზღვრა და პორტალის სტრუქტურის შემუშავება</td></tr> <tr> <td data-bbox="555 487 695 554">III ეტაპი:</td><td data-bbox="695 487 1455 554">პორტალის ამუშავება, ფუნქციური დატვირთვა</td></tr> <tr> <td data-bbox="555 554 695 655">IV ეტაპი:</td><td data-bbox="695 554 1455 655">პორტალის ამოქმედებამდე მიღებული გადაწყვეტილებების ეტაპობრივი განთავსება (შეიძლება მესამე ეტაპის პარალელურად)</td></tr> </table>	I ეტაპი:	ახალი პორტალის შექმნის ან არსებული პორტალების გამოყენების შესაძლებლობების გამოვლენა	II ეტაპი:	განსათავსებელი ინფორმაციის და ფუნქციების ზუსტი განსაზღვრა და პორტალის სტრუქტურის შემუშავება	III ეტაპი:	პორტალის ამუშავება, ფუნქციური დატვირთვა	IV ეტაპი:	პორტალის ამოქმედებამდე მიღებული გადაწყვეტილებების ეტაპობრივი განთავსება (შეიძლება მესამე ეტაპის პარალელურად)
I ეტაპი:	ახალი პორტალის შექმნის ან არსებული პორტალების გამოყენების შესაძლებლობების გამოვლენა								
II ეტაპი:	განსათავსებელი ინფორმაციის და ფუნქციების ზუსტი განსაზღვრა და პორტალის სტრუქტურის შემუშავება								
III ეტაპი:	პორტალის ამუშავება, ფუნქციური დატვირთვა								
IV ეტაპი:	პორტალის ამოქმედებამდე მიღებული გადაწყვეტილებების ეტაპობრივი განთავსება (შეიძლება მესამე ეტაპის პარალელურად)								
ვალდებულების საბოლოო დასრულების სასურველი თარიღი (2018-2019 წლების განმავლობაში)									